საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №74
2020 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 78-ე მუხლის 7^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^2 პუნქტი:

„7^2. სატრანსპორტო საშუალებაზე სტაციონარულად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების ლუდის გადასაზიდი ჭურჭლის სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკით, რომელიც, შესაბამისი ჭურჭლის ყოველი შევსებისთანავე, დატანილი უნდა იყოს ამ ჭურჭლის თვალსაჩინო ადგილზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**